მოსკოვი. 20 ივლისი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.).

მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის “დინამოს” და მოსკოვის ცდსა–ს შორის ერთ–ერთი საინტერესო გამოდგა მიმდინარე სეზონში.

დინამოელებს კარგა ხანს ხელთ ჰქონდათ ინიციატივა, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა. შემდეგ ჭკუასელის ზუსტი გადაცემიდან გაგნიძემ შესანიშნავი დარტყმით გახსნა ანგარიში. ტაიმის დასასრულამდე თბილისელებმა კიდევ დაკარგეს ბურთის გატანის შესაძლებლობა, ხოლო მოსკოველმა ემიშევმა ბოლო წუთებზე ძნელი მდგომარეობიდან გაქვითა გოლი – 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში “დინამოს” კართან მოწოდებულ იქნა კუთხური საჯარიმო, რომელიც მეორე გოლით დამთავრდა (ემიშევი) – 2:1.

ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. მე–17 წუთზე “დინამოს” თავდამსხმელებმა გაითამაშეს კომბინაცია და ჭკუასელმა მეორე ბურთი გაიტანა ცდსა–ს კარში – 2:2. ორივე გუნდი ძალების მაქსიმალური დაძაბვით იბრძოდა გადამწყვეტი ბურთის გატანისათვის. ეს შეძლო არმიელმა ბელიაევმა, რომელმაც კარგად გამოიყენა თბილისელთა დაცვის უხეში შეცდომა და აიძულა “დინამო” მესამედ დაეწყო თამაში ცენტრიდან.

ამის შემდეგ ზედიზედ არაზუსტად ურტყამდნენ კარში იამანიძე, ხასაია, ჭკუასელი. გარღვევაზე გავიდა ღოღობერიძე, რომლის უძლიერესი დარტყმა ზედა კუთხეში აკრობატული ნახტომით აიღო რაზინსკიმ.

მატჩი დამთავრდა ცდსა–ს გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

დუბლიორთა შეხვედრის ანგარიშია 1:1.

“ლელო”, 22 ივლისი, 1956 წ.